საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.09.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 063/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ლ.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ლ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 28 სექტემბერს მ. კ.-მა მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ი. ლ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანის განცხადებით, 2013 წელს დედას - ე. კ.-ს დაცემის შედეგად ჰქონდა მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა, თუმცა --- სახელობის დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის სამედიცინო პერსონალის მიერ ჩატარებული ოპერაციისა და მკურნალობის შედეგად მომჩივანის დედის მდგომარეობა დამძიმდა და გარდაიცვალა. საჩივრის ავტორმა საქმის მოკვლევისთვის მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს და პროკურატურას. აღნიშნულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატ ი. ლ.-ს. 2015 წელს ადვოკატ ი. ლ.-ს მისი მოთხოვნის შესაბამისად გადასცა ავადმყოფობის ისტორიის დედანი. მომჩივანის განცხადებით, ადვოკატმა მოიპოვა საქმის მასალები, თუმცა ის „3 წელი არაფერში გამოიყენა“. 2019

წელს პროკურორმა მას ადვოკატთან ერთან გააცნო საქმის მასალები, რა დროსაც არ იყო გამოკითხული ერთ-ერთ ექიმი მ. ჩ., რომელიც შემდგომ, მოგვიანებით დაიკითხა მ. კ.-ის მოთხოვნით.

1.2 2019 წელს მომჩივანმა და ადვოკატმა ი. ლ.-მ მიმართეს სახალხო დამცველს და 7 თვის განმავლობაში ელოდებოდნენ პასუხს მათგან, თუმცა ამ პერიოდში ადვოკატ ი. ლ.-ს მათთვის არ წარუდგენია საქმის მასალები. 2019 წელს მომჩივანი ადვოკატის ინიციატივით თბილისში შეხვდა სახალხო დამცველის მოადგილეს და ერთ-ერთ წარმომადგენელს. ადვოკატმა მათ გააცნო საქმის მასალები, მოადგილემ გაიკვირვა თუ საიდან ჰქონდა ადვოკატს ეს მასალები, ადვოკატი „დაიბნა და ვერ უპასუხა". ადვოკატის ინიციატივით, 2020 წლის თებერვალში აგრეთვე იმყოფებოდნენ ორგანიზაციაში „კონსტიტუციის 42-ე მუხლი". ადვოკატმა მათაც გააცნო საქმის მასალები. ამავე წლის მარტში მომჩივანი ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, თუმცა მასალების ნახვის შემდგომ მათაც უარი განაცხადეს ევროსასამართლოსადმი მიმართვაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმეზე პროცედურები არ იყო ამოწურული (არ იყვნენ ექიმები გამოკითხული და მ. კ. არ იყო დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი) რა დროსაც ადვოკატ ი. ლ.-ის თხოვნით ჩავიდა თბილისში ევროსასამართლოში საქმის გაგზავნის მიზნით. ადვოკატმა უზენაეს სასამართლოში საქმის დასრულების შემდგომ მიუხედავად მისი თხოვნისა არ მიმართა ევროსასამართლოს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ი. ლ.-მ აგრეთვე, „დაუგვიანა სასწრაფო დახმარების ექიმების" გამოკითხვა. ადვოკატმა ამდენი წლის გასვლის შემდგომ, როცა უკვე ხანდაზმულობის ვადა გასული იყო 2021 წლის 16 თებერვალს მოითხოვა ექიმების გამოკითხვა და ასევე, დაგვიანებით იშუამდგომლა მოეთხოვა მ. კ.-ის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხი. ადვოკატი მ. კ. ყოველთვის უარს აცხადებდა მომჩივანის საქმეზე განცხადებები წარედგინა კონკრეტული პიროვნებების მიმართ პროკურატურაში. 2021 წლის 18 აპრილს ადვოკატს მოსთხოვა პროკურატურისადმი მიმართვა, რა დროსაც ადვოკატმა მის თანდასწრებით დაურეკა იმ პირებს ვის მიმართაც უნდა წარდგენილიყო განცხადება და უთხრა, რომ მ. კ. მასთან ერთად იმყოფებოდა, რაზეც მომჩივანი გაბრაზდა. აღნიშნულის შემდეგ ადვოკატი კვლავ დაპირდა აღნიშნული პიროვნების მიმართ პროკურატურაში განცხადების წარდგენას, თუმცა მომჩივანმა გადაამოწმა და ადვოკატს არ ჰქონდა პროკურატურისადმი მიმართული. ადვოკატი ცდილობდა მომჩივანის გადარწმუნებას, რომ არ მიემართა პროკურორისთვის. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა მას ჰკითხა ჰონორარი თუ გადაუხადა, რაზეც უპასუხა, რომ 500 ლარი გადასცა აპრილის თვეში, შემდეგ კი „დაემუქრა, რომ თუ განცხადებას არ წარადგენდა პროკურატურაში, მის მიმართ ეთიკის კომისიას მიმართავდა საჩივრით". აღნიშნულის შემდგომ მომჩივანმა მიმართა პროკურატურას, სადაც განცხადება წარდგენილი იყო ადვოკატის მიერ „20 აპრილს მ. კ.-ის მიერ ხელმოწერილი", რაც ეხებოდა თ. და დ. დ.-ების გამოკითხვას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 18 ოქტომბერს ადვოკატმა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, მომჩივანის დედა 6 თვის გარდაცვლილი იყო, როდესაც მას მ. კ.-მა იურიდული დახმარების მიზნით მიმართა. ადვოკატმა საქმეში ჩართვისთანავე მიმართა პროკურატურას შუამდგომლობით, რათა მომხდარიყო გვამის ექსუმაცია. მიუხედავად ექსპერტიზის ჩატარებისა ვერ დადგინდა სიკვდილის მიზეზი, შესაბამისად დევნის აღძვრა არ დაიწყო პროკურატურის მიერ,

რადგან არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ამასთან, ადვოკატმა არაერთხელ მიმართა პროკურატურას სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. ადვოკატმა მიმართა სახალხო დამცველის სამსახურსაც, თუმცა ვერ გასცდა ის თავისი უფლებამოსილების ფარგლებს. ადვოკატის განცხადებით, ის სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა მ. კ.-ის ინტერესებს, აწარმოებდა სამოქალაქო მიმართულებით საქმეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატის განცხადებით, მ. კ.-ს აღნიშნულ საქმეზე 7 წლის განმავლობაში უწევდა საადვოკატო მომსახურებას მინიმალური ანაზღაურებით. ადვოკატის განცხადებით, მას მიაჩნია, რომ მომჩივანის საქმეზე ეფექტიანი გამოძიება ვერ იქნა უზრუნველყოფილი და ამიტომაც არის განაწყენებული და მასზე გადმოაქვს უკმაყოფილება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ლ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო;

3.2 მ. კ.-ს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 28 სექტემბერს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2015 წლიდან 2021 წლამდე. კომისია აფასებს იმ სადავო მოქმედებებს, რომლებზეც კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადაა დაცული (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ი. ლ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა არ გაუწია კვალიფიციური მომსახურება მის საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის დროულად არ მიმართა შუამდგომლობებით პროკურატურას, რაც ეხებოდა კონკრეტული პიროვნებების გამოკითხვის და მ. კ.-ის, როგორც დაზარალებული პირის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

5.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება,

რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.

5.4 მხარეთა პოზიციების მიხედვით ირკვევა, რომ ადვოკატი ი. ლ. 2013 წლიდან უწევდა საადვოკატო მომსახურებას მ. კ.-ს, რაც ეხებოდა მისი დედის გარდაცვალების საქმეზე სამედიცინო პერსონალის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის გამოვლენას და აღნიშნულის საფუძველზე მ. კ.-ის, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხს. კოლეგია განმარტავს რომ მომჩივანის პრეტენზიები ეხება ადვოკატის მიერ საქმეზე შესრულებული მოქმედებების ხარისხს, მათ შორის ადვოკატის მიერ დაგვიანებით პროკურატურისადმი შუამდგომლობების წარდგენას. მოცემულ შემთხვევაში, გარდა საჩივრის ავტორის პოზიციისა, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატი გამიზნულად აჭიანურებდა საქმის წარმართვის პროცედურებს და არ მოქმედებდა მ. კ.-ის, როგორც კლიენტის ინტერესების შესაბამისად.

5.5 მომჩივანი ადასტურებს, რომ ადვოკატმა როგორც სასამართლოს, ასევე, საჩივარში მითითებულ ორგანიზაციებს და მათ შორის პროკურატურას მიმართა მის საქმესთან დაკავშირებით, თან ახლდა შეხვედრებზე და ორგანიზაციის წარმომადგენელს აცნობდა საქმის მასალებს. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა რამდენჯერმე წერილობითი განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს, პროკურატურას (იხ. სახალხო დამცველის აპარატის წერილი 31.10.2019, ი. ლ.-ის განცხადება რაიონულ პროკურატურას 01.10.2020, ადვოკატის და მ. კ.-ის მიმართვა და შუამდგომლობების პროკურატურას 02.10.2020, 24.09.2020, 16.02.2021; 20.04.2021, წერილი სახალხო დამცველს 13.03.2019, ---ის რაიონული პროკურატურის შეტყობინება 26.02.2021). შედეგად, დგინდება, რომ ადვოკატი უწევდა სამართლებრივ დახმარებას მომჩივანს და ასრულებდა შესაბამის მოქმედებებს საქმესთან დაკავშირებით. კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება შეაფასოს ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარისხი, მათ შორის არსებითად იმსჯელოს მომჩივანის საქმეზე კონკრეტულად რა მოქმედებები უნდა შეესრულებინა ადვოკატს, კონსულტაცია და გაწეული სამართლებრივი დახმარება რამდენად კვალიფიციურად იქნა შესრულებული. მოცემული საქმის ფარგლებში კომისია მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს ადვოკატის მიერ კონკრეტული მოქმედებები საქმის გარემოებიდან გამომდინარე შესრულდა დაგვიანებით, თუ ის არ ასრულებდა მომჩივანის მითითებებს, მათ შორის მოწმეთა გამოკითხვის რა დამაბრკოლებელი გარემოებები არსებობდა ადვოკატის მხრიდან. აღნიშნული გარდა მ. კ.-ის განმარტებისა არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, რაც კომისიას შესაძლებლობას მისცემდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ემსჯელა ადვოკატის მიერ შესაძლო ეთიკური ნორმების დარღვევის ფარგლებში. ამასთან, კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ ვინაიდან, საჩივარში მითითებულია 2013 წლიდან ადვოკატის მიერ სავარაუდოდ განხორციელებული სადავო მოქმედებები, კომისია ვერ შეაფასებს იმ შესაძლო მოქმედებებს, რომელიდანაც გავიდა კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5.6 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №063/21 ადვოკატ ი. ლ.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/